

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები.....	10
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	13
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	21
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	22
6. ძირითადი საშუალებები.....	26
7. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	26
8. მარაგები	28
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	28
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	28
11. სესხები	29
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29
13. ამონაგები	29
14. სხვა საოპერაციო ხარჯები	30
15. წმინდა საპროცენტო ხარჯი.....	30
16. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.....	30
17. ანარიცხები, პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები.....	31
18. შეწყვეტილი ოპერაციები და გამსვლელი ჯგუფი	32
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	33
მმართველობის ანგარიშგება	34

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მაქრო ტურიზმის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს მაქრო ტურიზმის (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების 16-ე შენიშვნაში, კომპანია წარმოადგენს დაკავშირებული მხარის მიერ მიღებული სესხის თავდებს. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების აღრიცხვაზე და განმარტებითი ინფორმაციაზე 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან წარმოქმნილ ვალდებულებასთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ხელმძღვანელობის მომავალი წლის პროგნოზზე დაყრდნობით, კომპანია ვერ შეძლებს მოკლევადიანი ვალდებულებების და მასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯის დაფარვას ხელშეკრულების შესაბამისად. საოპერაციო საქმიანობის ფაქტიური შედეგები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დაგეგმილისგან. კომპანია წარმოადგენს დაკავშირებული მხარის (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიის) მიერ მიღებული სესხის თავდებს. დაკავშირებული მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში ფინანსურ ინსტიტუტს აქვს უფლება კომპანიას მოსთხოვოს სასესხო ვალდებულების დაფარვა. განუსაზღვრელია დაკავშირებული მხარის გადახდისუნარიანობა და ფინანსური ინსტიტუტის სამომავლო ქმედება კომპანიის, როგორც ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების ემიტენტის მიმართ.

კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადების, უარყოფითი ლიკვიდობის, ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების მომსახურებასთან და ფინანსური ვალდებულებების რესტრუქტურისაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დაშვებების გათვალისწინებით, კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებულია არსებით განუსაზღვრელობასთან. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარიგებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგენსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

16 აპრილი 2025

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მაქრო ტურიზმის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს მაქრო ტურიზმის (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების 16-ე შენიშვნაში, კომპანია წარმოადგენს დაკავშირებული მხარის მიერ მიღებული სესხის თავდებს. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების აღრიცხვაზე და განმარტებითი ინფორმაციაზე 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან წარმოქმნილ ვალდებულებასთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შეაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღებას გამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ხელმძღვანელობის მომავალი წლის პროგნოზზე დაყრდნობით, კომპანია ვერ შეძლებს მოკლევადიანი ვალდებულებების და მასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯის დაფარვას ხელშეკრულების შესაბამისად. საოპერაციო საქმიანობის ფაქტური შედეგები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დაგეგმილისგან. კომპანია წარმოადგენს დაკავშირებული მხარის (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიის) მიერ მიღებული სესხის თავდებს. დაკავშირებული მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში ფინანსურ ინსტიტუტს აქვს უფლება კომპანიას მოსთხოვოს სასესხო ვალდებულების დაფარვა. განუსაზღვრელია დაკავშირებული მხარის გადახდისუნარიანობა და ფინანსური ინსტიტუტის სამომავლო ქმედება კომპანიის, როგორც ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების ემიტენტის მიმართ.

კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადების, უარყოფითი ლიკვიდობის, ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების მომსახურებასთან და ფინანსური ვალდებულებების რესტრუქტურისაგანთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დამუხრუჭების გათვალისწინებით, კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებულია არსებით განუსაზღვრელობასთან. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვეყონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე


ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

16 აპრილი 2025

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	6,800,777	6,883,460
აქტივების გამოყენების უფლება	7	39,002,949	1,202,912
არამატერიალური აქტივები		254,476	196,867
		46,058,202	8,283,239
მოკლევადიანი აქტივები			
გასაყიდად გამიზნული გამსვლელი ჯგუფის აქტივები	18	-	5,985,453
მარაგები	8	872,366	489,436
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	890,240	737,503
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	158,320	266,985
		1,920,926	7,479,377
სულ აქტივები		47,979,128	15,762,616
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
დაგროვილი ზარალი		(36,376,452)	(42,155,224)
სულ კაპიტალი		(36,376,452)	(42,155,224)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ანარიცხები	17	120,000	121,000
სესხები	11	12,807,070	13,307,727
საიჯარო ვალდებულებები	7	59,738,692	15,900,801
		72,665,762	29,329,528
მიმდინარე ვალდებულებები			
გასაყიდად გამიზნული გამსვლელი ჯგუფის ვალდებულებები	18	-	19,727,573
ანარიცხები	17	1,000	189,000
სესხები	11	1,117,123	1,332,275
საიჯარო ვალდებულებები	7	4,410,049	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	6,161,646	7,339,464
		11,689,818	28,588,312
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		47,979,128	15,762,616

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 16 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური მენეჯერი

ერდოლან შაჰინ

ფინანსური მენეჯერი

ალლა ხავრიშ

შპს მაქრო ტურიზმ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	6,800,777	6,883,460
აქტივების გამოყენების უფლება	7	39,002,949	1,202,912
არამატერიალური აქტივები		254,476	196,867
		46,058,202	8,283,239
მოკლევადიანი აქტივები			
გასაყიდად გამიზნული გამსვლელი ჯგუფის აქტივები	18	-	5,985,453
მარაგები	8	872,366	489,436
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	890,240	737,503
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	158,320	266,985
		1,920,926	7,479,377
სულ აქტივები		47,979,128	15,762,616
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
დაგროვილი ზარალი		(36,376,452)	(42,155,224)
სულ კაპიტალი		(36,376,452)	(42,155,224)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ანარიცხები	17	120,000	121,000
სესხები	11	12,807,070	13,307,727
საიჯარო ვალდებულებები	7	59,738,692	15,900,801
		72,665,762	29,329,528
მიმდინარე ვალდებულებები			
გასაყიდად გამიზნული გამსვლელი ჯგუფის ვალდებულებები	18	-	19,727,573
ანარიცხები	17	1,000	189,000
სესხები	11	1,117,123	1,332,275
საიჯარო ვალდებულებები	7	4,410,049	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	6,161,646	7,339,464
		11,689,818	28,588,312
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		47,979,128	15,762,616

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 16 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური მენეჯერი



ერდოლან მაჭინ

ფინანსური მენეჯერი



ალლა ხაჭიძე

შპს მაქრო ტურიზმ

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	13	26,010,374	11,600,830
მარაგების ხარჯი		(5,109,279)	(2,519,814)
პერსონალის ხარჯები		(9,508,165)	(4,704,834)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,546,630)	(851,690)
სასტუმროს მმართველობითი მომსახურების ხარჯი		(2,016,956)	(967,854)
ანარიცხებთან დაკავშირებული შემოსავალი/(ხარჯები)	17	137,611	(136,000)
სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(4,543,571)	(1,878,654)
საოპერაციო მოგება		2,423,384	541,984
წმინდა საპროცენტო ხარჯი	15	(9,938,625)	(4,358,160)
წმინდა ზარალი საკუთროსო სხვაობიდან		(3,172,039)	(223,146)
წმინდა ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან		(10,687,280)	(4,039,322)
შეწყვეტილი ოპერაციები			
მოგება/(ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან	18	16,551,052	(1,400,399)
წმინდა მოგება/(ზარალი)		5,863,772	(5,439,721)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		5,863,772	(5,439,721)

შპს მაქრო ტურიზმ

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	დაგროვილი ზარალი
31 დეკემბერი 2022	(36,715,503)
სრული ზარალი	(5,439,721)
31 დეკემბერი 2023	(42,155,224)
მფლობელზე განაწილება	(85,000)
სრული შემოსავალი	5,863,772
31 დეკემბერი 2024	(36,376,452)

შპს მაქრო ტურიზმ

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან		(10,687,280)	(4,039,322)
მოგება/(ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან		16,551,052	(1,400,399)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6;7	2,546,630	1,566,830
წმინდა საპროცენტო ხარჯი	15	10,343,281	7,689,940
ანარიცხებთან დაკავშირებული (შემოსავალი)/ხარჯები	17	-	136,000
მოგება შეწყვეტილი ოპერაციების გასვლიდან	18	(17,520,659)	-
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		4,030,227	153,172
		5,263,251	4,106,221
სამუშაო კაპიტალის ცვლილება			
მარაგების ზრდა		(359,568)	(155,458)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(316,652)	(112,100)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		606,983	1,111,642
ანარიცხის შემცირება		(189,000)	(116,000)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		5,005,014	4,834,305
გადახდილი პროცენტები		(3,993,026)	(6,392,551)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,011,988	(1,558,246)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შეწყვეტილი ოპერაციების გასვლა		2,721,753	-
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,346,261)	(2,197,724)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(78,017)	(196,469)
მიღებული პროცენტები		-	15,554
სესხების გაცემა		-	(650,000)
გაცემული სესხის დაფარვა		-	650,000
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		297,475	(2,378,639)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	11	1,420,000	29,033,142
სესხების დაფარვა	11	(2,715,872)	(25,134,509)
მფლობელზე განაწილება		(85,000)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1,380,872)	3,898,633
ფულადი სახსრების წმინდა შემცირება		(71,409)	(38,252)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	266,985	298,657
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა		(37,256)	6,580
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	158,320	266,985

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მაქრო ტურიზმ“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია საქმიანობას ეწევა სასტუმროების შემდეგი დასახელებით: “Mercure Tbilisi Old Town” და “Swissotel Tbilisi”. სასტუმროები განთავსებულია ძველი თბილისის ცენტრში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% მესაკუთრეს წარმოადგენს ემინ უჩარ. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, ვახტანგ გორგასლის ქ., N9.

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი გავლენების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებულია არსებით განუსაზღვრელობასთან.

გარემოებები რომლებიც მიუთითებს საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობაზე

ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შედეგები, ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, მოკლევადიანი ლიკვიდურობის უარყოფითი მაჩვენებელი და ბალანსის შემდგომი მოვლენა (შენიშვნა 19). ხელმძღვანელობამ შეაფასა მომავალი ფულადი ნაკადები, რომლის მიხედვით:

- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებებიდან მომავალი ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი დაუდისკონტირებელი ფულადი ნაკადები შეადგენს 22,459,261 ლარს (მე-5 განმარტებითი შენიშვნა).
- მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ბიუჯეტირებული წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მნიშვნელოვნად ჩამორჩება საფინანსო საქმიანობისთვის გასავალ ფულად ნაკადებს.

ხელმძღვანელობის მომავალი წლის პროგნოზზე დაყრდნობით, კომპანია ვერ შეძლებს მიმდინარე ვალდებულებების და მასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯის დაფარვას ხელშეკრულების შესაბამისად. საოპერაციო საქმიანობის ფაქტიური შედეგები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს დაგეგმილისგან.

კომპანია წარმოადგენს დაკავშირებული მხარის (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიის) მიერ მიღებული სესხის თავდებას. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ დაკავშირებული მხარის სანაცვლოდ ფინანსურ ინსტიტუტს გადაუხადა სესხის თანხა 717,126 ლარი (შენიშვნა 16; 19). დაკავშირებული მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში ფინანსურ ინსტიტუტს აქვს უფლება

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კომპანიას მოსთხოვოს სასესხო ვალდებულების დაფარვა. ხელმძღვანელობის შეფასებით ანგარიშგების დამტკიცებიდან მომდევნო ერთი წლის განმავლობაში კომპანია ვერ შეძლებს დაკავშირებული მხარის სესხების სრულად მომსახურებას. განუსაზღვრელია დაკავშირებული მხარის გადახდის უნარიანობა და ფინანსური ინსტიტუტის სამომავლო ქმედება კომპანიის, როგორც თავდები პირის მიმართ.

ხელმძღვანელობის გეგმა კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების შესანარჩუნებლად

ხელმძღვანელობის მოლოდინით, კომპანია შეძლებს:

- დაგეგმილი საოპერაციო ფულადი ნაკადების შესრულებას;
- საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ ინსტიტუტთან მოლაპარაკებების საფუძველზე, საგარანტიო ხელშეკრულების ფარგლებში დაკავშირებული მხარის სანაცვლოდ, გადახდის გრაფიკის განახლებას კომპანიის თავისუფალი ფულადი ნაკადების შესაბამისად;
- კრედიტორებთან შეთანხმებას გადახდის შეღავათიან გრაფიკზე;

ფინანსურ ინსტიტუტთან და კრედიტორებთან მოლაპარაკების შედეგის ზუსტი შეფასება ამჟამად შეუძლებელია. ხელმძღვანელობა საიმედოდ ვერ აფასებს დაფინანსების ახალი წყაროებით მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიწოდების ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოაშალონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

კომპანიის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხება შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს. მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

- „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებულ სტანდარტს/ცვლილებებს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკა უცვლელად არის გამოყენებული თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

3.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები.

3.2 ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია ამონაგებს აღიარებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სასტუმროს და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ამონაგები რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის სასტუმროს მომსახურება, სპა და სპორტული დარბაზით სარგებლობა და სხვა დაკავშირებული მომსახურებები, აღიარდება

დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

ამონაგები საკვები და სასმელის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით აქტივის რაოდენობაზე. როდესაც მომხმარებელი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქტს, კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ პროდუქტზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით (ყველა პროდუქტია შეიძლება გაიყიდოს ცალკე).

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

3.3 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

3.4 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივ დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს

	სამზარეულოს ტექნიკა	ქონების გაუმჯობესება	ფიტნეს აღჭურვილობა	სასტუმროს აღჭურვილობა	სხვა ტექნიკა	ავტო მობილები	სხვა
მომსახურების ვადა (წელი)	3-12	8-10	12-15	3 - 15	2-20	10-15	5 - 9

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

3.6 იჯარა

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება;
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.
- იჯარა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:
- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულება აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 7 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

3.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

3.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

3.10 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“. მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობს მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს და სხვა მოკლევადიან ფულად ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომელიც მოითხოვს, რომ ემიტენტმა წინასწარგანსაზღვრული თანხები გადაუხადოს მფლობელს იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელსაც მიიღებს იმის გამო, რომ გარკვეულმა დებიტორმა, სავალო ინსტრუმენტისთვის თავდაპირველად დადგენილი ან შეცვლილი პირობების შესაბამისად, დროულად ვერ გადაუხადა ვალი. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულების სახით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ამგვარი ხელშეკრულება ფასდება ფასს 9-ის მოთხოვნებით შეფასებული მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა და კუმულაციური ამორტიზაციით შემცირებულ თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმაღლესით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

3.11 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლა, აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა, რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. ფიქსირებული და ცვლადი ხელფასის, ბონუსის და სხვა არაფულადი სარგებლის ხარჯის დარიცხვას კომპანია ახორციელებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც თანამშრომელმა კომპანიას მოცემული სერვისი მიაწოდა.

3.12 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

3.13 სესხის დანახარჯების კაპიტალიზაცია

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული ნასესხები სახსრების დანახარჯები აღირიცხება აღნიშნული აქტივის თვითღირებულებაში. ამგვარი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები კაპიტალიზდება როგორც აქტივის თვითღირებულების ნაწილი, როდესაც მოსალოდნელია, რომ ეს დანახარჯები საწარმოს მომავალში მოუტანს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება.

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ის დანახარჯები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, აუცილებელი რომ არ ყოფილიყო განსაკუთრებულ აქტივთან დაკავშირებული დანახარჯების გაწევა. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებში შედის: საპროცენტო ხარჯი, რომელიც გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული პროცენტი; და უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა, თუ იგი განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კაპიტალიზაციისთვის შესაბამისი უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა განისაზღვრება კუმულაციის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა ჯამური საპროცენტო ხარჯის მოცულობას, რომელიც წარმოიშობოდა კომპანიას რომ აეღო სესხი სამუშაო ვალუტაში (ქართულ ლარში). კუმულაციური მეთოდის გამოყენებისას უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი კაპიტალიზებადი საკურსო სხვაობის თანხა არ შეიძლება აღმატებოდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ჯამურად წარმოშობილ უცხოურ ვალუტაში არსებულ სესხთან დაკავშირებულ საკურსო სხვაობის თანხას. იგი განიხილავს მთელ სამშენებლო პროექტს, როგორც საანგარიშო ერთეულს, რომელიც უგულვებელყოფს საანგარიშგებო პერიოდის თარიღებს. უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა, რომელიც განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება, წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასებას. კომპანია განსაზღვრავს ჰიპოთეტურ საპროცენტო განაკვეთს სამუშაო ვალუტაში არსებული სესხისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის ქართულ ლარში აღებული სესხების საფუძველზე.

თუ სესხის აღება ხდება რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის მისაღებად, ამ აქტივთან მიმართებით ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებად ნაწილს საწარმო განსაზღვრავს საანგარიშგებო პერიოდში ამ სესხთან დაკავშირებით გაწეული ნასესხები სახსრების ფაქტობრივი დანახარჯებიდან იმ საინვესტიციო შემოსავლების თანხის გამოკვეთვით, რომელიც მიიღება მოცემული სესხის მოკლევადიანი ფინანსური დაბანდობიდან.

თუ საწარმომ აიღო ჩვეულებრივი, საერთო დანიშნულების სესხი, მაგრამ გამოიყენა რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის შესაძენად, საწარმოებლად ან ასაშენებლად, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებადი თანხის დასადგენად გამოიყენება ამ აქტივზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაციის ნორმა.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია, განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში იწყება როდესაც საწარმო პირველად დააკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას: განსაკუთრებულ აქტივზე გაწეულია პირველი დანახარჯები; გაწეულია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები; დაწყებულია აუცილებელი სამუშაოები მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯის კაპიტალიზაციის პროცესი წყდება როდესაც ძირითადად, მთავრდება მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა აქტიური სამუშაო.

3.14 შეწყვეტილი ოპერაციები და გამსვლელი ჯგუფი

კომპანია გამსვლელ ჯგუფს ანიჭებს გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაციას, თუ მისი საბალანსო ღირებულება ანაზღაურდება გაყიდვის გარიგებით და არა მისი გამოყენების გაგრძელებით. ამისათვის, შესაძლებელი უნდა იყოს გამსვლელი ჯგუფის დაუყოვნებელი გაყიდვა არსებულ მდგომარეობაში, გაყიდვის ჩვეულებრივი პირობებით და მისი გაყიდვა დიდი ალბათობით მოსალოდნელი უნდა იყოს.

ხელმძღვანელობის შესაბამისი დონე გამსვლელი ჯგუფის გაყიდვის გეგმას მხარს უნდა უჭერდეს და შემუშავებული უნდა იყოს მყიდველის მოძებნისა და გეგმის ბოლომდე მიყვანის აქტიური პროგრამა. გარდა ამისა, ამ გაყიდვის აღიარება დასრულებულ გაყიდვად შესაძლებელი უნდა იყოს კლასიფიცირების დღიდან ერთი წლის განმავლობაში.

კომპანია გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფს აფასებს მის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

შეწყვეტილი ოპერაცია არის კომპანიის კომპონენტი, რომელიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და: ა) წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს; ბ) არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან გ) არის კონკრეტულად შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი შვილობილი საწარმო.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

4.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4.2 იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები

კომპანია იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები.

კომპანია იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები ეფუძნება ხელმძღვანელობის შეფასებას მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდების შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

პანდემიით გამოწვეული გარემოებების გათვალისწინებით შემცირებული საიჯარო გადასახდელების შეფასებისთვის ხელმძღვანელობა დაეყრდნო ხელშეკრულების ცვლილების მომენტში ტურიზმის აღდგენის მოსალოდნელ სცენარებს. შეფასების საფუძველზე ყოველთვიური საიჯარო გადასახდელები აღდგება ეტაპობრივად და საწყის მოცულობას დაუბრუნდება 2025. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური საიჯარო გადახდების შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.3 გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.4 ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)

4.5 ანარიცხები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს ანარიცხის შეფასებაში გამოყენებული დაშვებების გონივრულობას. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს გადასახდელების მოსალოდნელ რაოდენობას, მოსალოდნელ ოდენობას, შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.6 ვალდებულებები ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან

კომპანია გაცემული აქვს ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულების სახით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ამგვარი ხელშეკრულება ფასდება ფასს 9-ის მოთხოვნებით შეფასებული მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა და კუმულაციური ამორტიზაციით შემცირებულ თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმაღლესით. კომპანია აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა საქმიანობებთან ერთად, კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია: საკრედიტო რისკი; საპროცენტო რისკი; უცხოური ვალუტის რისკი; ლიკვიდურობის რისკი. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა სავაჭრო მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	823,951	397,917
ფული და ფულის ეკვივალენტები	158,320	266,985
სულ ფინანსური აქტივები	982,271	664,902
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,527,768	6,771,611
საიჯარო ვალდებულებები	64,148,741	15,900,801
სესხები	13,924,193	14,640,002
სულ ფინანსური ვალდებულებები	83,600,702	37,312,414

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება (დონე 3), რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, და უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების მეორე დონის მიხედვით და დაკავშირებული მხარეებიდან მიღებული სესხების მესამე დონის მიხედვით, შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი სესხებისთვის მერყეობს 9%-დან 13%-მდე ვალუტების შესაბამისად, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. მიღებული სესხების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

საიჯარო ვალდებულებების მესამე დონის მიხედვით, შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი სასტუმროს იჯარისთვის მერყეობს 16%-დან 17%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს, სასტუმროს საიჯარო ვალდებულებების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რათა უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდითა და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავალუტო რისკის ანალიზს.

	2024		2023	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	94,420	35,871	34,888	15,650
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,913	2,340	48,754	51,585
სულ ფინანსური აქტივები	100,333	38,211	83,642	67,235
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,135,125	1,149,651	3,764,188	1,656,370
საიჯარო ვალდებულებები	59,855,971	-	35,560,209	-
სესხები	13,924,193	-	14,223,844	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	75,915,289	1,149,651	53,548,241	1,656,370
წმინდა სავალუტო პოზიცია	(75,814,956)	(1,111,440)	(53,464,599)	(1,589,135)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ცხრილი გვიჩვენებს გავლენას წმინდა მოგებაზე.

	აშშ დოლარი/ ლარი + 20%	აშშ დოლარი/ ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) 2024	(15,162,991)	15,162,991	(222,288)	222,288
მოგება/(ზარალი) 2023	(10,692,920)	10,692,920	(317,827)	317,827

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დენომინირებული დოლარში. საპროცენტო განაკვეთის 1%-იანი ცვლილება განაპირობებს საპროცენტო ხარჯის წლიურ ცვლილებას 139,242 ლარით (2023: 142,108 ლარი). ცვლებადი განაკვეთის სესხების შეთხვევაში, საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყოს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, გაცემული სესხიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლსა და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემის სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნეელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე მომსახურების მიწოდება ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	823,951	397,917
ფული და ფულის ეკვივალენტები	150,067	166,646
სულ	974,018	564,563

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,527,768	-	-	5,527,768
საიჯარო ვალდებულებები	14,397,249	41,646,706	202,054,546	258,098,501
სესხები	2,534,244	10,133,497	8,655,696	21,323,437
სულ ფინანსური ვალდებულებები 2024	22,459,261	51,780,203	210,710,242	284,949,706
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,771,611	-	-	6,771,611
საიჯარო ვალდებულებები	1,579,341	20,238,875	8,204,949	30,023,165
სესხები	2,860,807	9,725,108	10,721,065	23,306,980
სულ ფინანსური ვალდებულებები 2023	11,211,759	29,963,983	18,926,014	60,101,756

(*) სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ მოიცავს გამსვლელ ჯგუფში წარდგენილ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს.

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	სამზარეულოს ტექნიკა	კონტინერების გაუმჯობესება	ფიტნეს აღჭურვილობა	სასტუმროს აღჭურვილობა	TV და სხვა ტექნიკა	ავტომობილი	სხვა	სულ
31.12.2022	144,941	130,163	111,278	3,311,411	506,704	196,645	108,166	4,509,308
შემოსვლა SWISSOTEL	630,113	-	174,179	3,947,072	449,186	-	475,491	5,676,041
სესხის დანახარჯი	40,000	-	11,000	251,000	28,000	-	30,000	360,000
შემოსვლა Mercure and IBIS	176,956	72,208	-	62,545	36,266	-	3,638	351,613
გადასვლა	35,405	-	-	(94,837)	59,432	-	-	-
გადასვლა გამსვლელ ჯგუფში	(32,164)	(34,732)	-	(2,488,462)	(262,912)	-	(26,105)	(2,844,375)
31.12.2023	995,251	167,639	296,457	4,988,729	816,676	196,645	591,190	8,052,587
შემოსვლა SWISSOTEL	188,241	-	18,782	203,103	72,447	-	159,675	642,248
სესხის დანახარჯი	100,000	-	-	-	9,000	-	9,000	118,000
შემოსვლა Mercure	24,131	-	(11,000)	80,564	(26,214)	-	(22,146)	45,335
გადასვლა	900,000	(14,628)	-	(885,372)	-	-	-	-
გასვლა	-	(24,221)	-	-	-	-	-	(24,221)
31.12.2024	2,207,623	128,790	304,239	4,387,024	871,909	196,645	737,719	8,833,949

დაგროვილი ცვეთა

31.12.2022	(84,094)	(85,914)	(92,671)	(2,639,685)	(405,670)	(76,167)	(73,314)	(3,457,515)
ცვეთა	(20,468)	(11,305)	(3,721)	(85,667)	(18,188)	(10,953)	(8,962)	(159,264)
გადასვლა	(38,153)	9,618	-	83,433	(45,840)	-	(9,058)	-
გადასვლა გამსვლელ ჯგუფში	23,940	20,983	-	2,136,215	250,311	-	16,203	2,447,652
31.12.2023	(118,775)	(66,618)	(96,392)	(505,704)	(219,387)	(87,120)	(75,131)	(1,169,127)
ცვეთა	(186,727)	(23,605)	(22,455)	(492,256)	(70,737)	(21,148)	(71,338)	(888,266)
გასვლა	-	24,221	-	-	-	-	-	24,221
31.12.2024	(305,502)	(66,002)	(118,847)	(997,960)	(290,124)	(108,268)	(146,469)	(2,033,172)

საბალანსო ღირებულება

31.12.2023	876,476	101,021	200,065	4,483,025	597,289	109,525	516,059	6,883,460
31.12.2024	1,902,121	62,788	185,392	3,389,064	581,785	88,377	591,250	6,800,777

7. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს სასტუმროების იჯარას. სასტუმროების იჯარა მიღებულია დაკავშირებული მხარისგან. ხელშეკრულების პირობები თანხმდება ინდივიდუალურად თითოეული იჯარისთვის. ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს იჯარის ვადას, ზღვრულ სასესხო განაკვეთს და ყოველთვიურ საიჯარო გადასახდელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

იჯარის ხელშეკრულება	არაგაუქმებადი პერიოდი	გაგრძელების უფლების გამოყენება	იჯარის ვადა	დისკონტის განაკვეთი	საიჯარო გადასახდელი (დღგ-ს გარეშე)
სასტუმრო მერკურის იჯარა	48 თვე	138 თვე	186 თვე	16%	USD 101,695
სასტუმრო სვისის იჯარა	1 თვე	289 თვე	290 თვე	16%	USD 152,542

სვისოტელი: კომპანიამ სასტუმროს იჯარა დაიწყო 2024 წლის იანვრის ბოლოდან. იჯარის სახელშეკრულებო ვადა სრულდება 2025 წლის იანვრის ბოლოს. გაგრძელების უფლება ნაგულისხმებია არსებული საქმიანი პრაქტიკით. ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს გაგრძელების უფლების გამოყენებას „სასტუმროს ოპერირების ხელშეკრულების“ დასრულებამდე გაგრძელების პერიოდის ჩათვლით (ჯამურად 25 წლიანი პერიოდი), რადგან აღნიშნული ხელშეკრულების გაწყვეტა ითვალისწინებს მნიშვნელოვან ჯარიმებს.

სასტუმრო მერკური: იჯარის სახელშეკრულებო ვადა სრულდება 2028 წლის ბოლოს. გაგრძელების უფლება ნაგულისხმებია არსებული საქმიანი პრაქტიკით. ხელმძღვანელობის მსჯელობით იჯარის ვადა შეფასებული იყო 2030 წლის 30 ივნისამდე, რაც წარმოადგენს „სასტუმროს ოპერირების ხელშეკრულების“ არაგაუქმებადი პერიოდის დასრულებას.

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

7. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

2024 წლის დასაწყისში კომპანიამ გახსნა ახალი სასტუმრო სვისოტელი და გაყიდა არსებული სასტუმრო იბისი (შენიშვნა 18). სვისოტელის „სასტუმროს ოპერირების ხელშეკრულების“ არგაუქმებადი პერიოდის სრულდება 2039 წელს. აღნიშნული მოვლენების საფუძველზე ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს, რომ გამოიყენებს სასტუმრო მერკურის „ოპერირების ხელშეკრულების“ გაგრძელების 10 წლიან უფლებას.

კომპანიამ ხელახლა შეაფასა, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, რაც ნაგულისხმებია საქმიანი პრაქტიკით. ხელმძღვანელობამ ახალი სასტუმროს გახსნა და სასტუმრო იბისის გაყიდვა განიხილა, როგორც გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილება რომლებიც: მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება და გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას. ხელმძღვანელობის შეფასებით სასტუმრო მერკურის იჯარის ვადა გაგრძელდება „სასტუმროს ოპერირების ხელშეკრულების“ პერიოდის დასრულებამდე. იჯარის ვადის ცვლილება აღრიცხულია, როგორც იჯარის მოდიფიკაცია.

კომპანია სრულად ფინანსდება არაწილობრივი ინსტრუმენტებით. განსხვავებული დაფინანსების სტრუქტურის გამო მსგავსი პირობებით სესხის პროცენტის განსაზღვრა დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით არ არის ხელმისაწვდომი. ხელმძღვანელობის შეფასებით დაფინანსების მსგავსი სტრუქტურის შემთხვევაში ზღვრული სასესხო განაკვეთი მიუახლოვდება კომპანიის კაპიტალის ღირებულებას, გამომდინარე იქიდან რომ მაღალ რისკიანი კომპანიის სესხებით დაფინანსების რისკი უტოლდება წილობრივი ინსტრუმენტებით დაფინანსების რისკს.

საიჯარო გადასახდელები ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრულია ერთწლიანი პერიოდისთვის. მომავალი საიჯარო გადასახდელების შეფასებისთვის ხელმძღვანელობა დაეყრდნო მოსალოდნელი ეკონომიკური სცენარების გავლენას სასტუმროს საქმიანობაზე. შეფასების საფუძველზე ყოველთვიური საიჯარო გადასახდელები გადაიხდება 2027 წლიდან და გაიზრდება გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ტემპის შესაბამისად.

იჯარის ვადა, საიჯარო გადასახდელები და დისკონტის განაკვეთი წარმოადგენს მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს იჯარის ვალდებულებების მგრძნობელობას აღნიშნული ცვლადების მიმართ.

	დისკონტის განაკვეთი		საიჯარო გადასახდელები		იჯარის ვადა	
	ზრდა 2%-ით	კლება 2%-ით	ზრდა 20%-ით	კლება 20%-ით	ზრდა 10 წლით	კლება 10 წლით
სვისოტელი	(4,414,000)	5,657,000	7,475,000	(7,475,000)	1,223,000	(4,662,000)
მერკური	(2,186,000)	2,637,000	4,496,000	(4,496,000)	2,430,000	(9,325,000)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობას.

	სასტუმრო მერკური	სასტუმრო იბისი	სასტუმრო სვისოტელი	სულ
31 დეკემბერი 2022	5,682,717	6,173,759	-	11,856,476
ამორტიზაცია	(757,697)	(649,869)	-	(1,407,566)
საიჯარო გადასახდელის ცვლილების ეფექტი	(3,722,108)	-	-	(3,722,108)
გადასვლა გამსვლელ ჯგუფში	-	(5,523,890)	-	(5,523,890)
31 დეკემბერი 2023	1,202,912	-	-	1,202,912
შემოსვლა	-	-	34,292,914	34,292,914
ამორტიზაცია	(384,727)	-	(1,253,229)	(1,637,956)
საიჯარო გადასახდელის ცვლილების ეფექტი	(3,884,483)	-	-	(3,884,483)
იჯარის ვადის მოდიფიკაციის ეფექტი	9,029,562	-	-	9,029,562
31 დეკემბერი 2024	5,963,264	-	33,039,685	39,002,949

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

7. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულებების მოძრაობას.

	სასტუმრო მერკური	სასტუმრო იბისი	სასტუმრო სვისოტელი	სულ
31 დეკემბერი 2022	18,809,644	18,931,488	-	37,741,132
საიჯარო გადასახდელის ცვლილების ეფექტი	(3,722,108)	-	-	(3,722,108)
საპროცენტო ხარჯი	3,360,517	3,331,780	-	6,692,297
დღგ მიმდინარე დარიცხვაზე	289,154	240,962	-	530,116
გადახდა დღგ-ჩათვლით	(2,754,619)	(2,774,848)	-	(5,529,467)
საკურსო სხვაობა	(81,787)	(69,974)	-	(151,761)
გადასვლა გამსვლელ ჯგუფში	-	(19,659,408)	-	(19,659,408)
31 დეკემბერი 2023	15,900,801	-	-	15,900,801
შემოსვლა	-	-	34,292,914	34,292,914
საიჯარო გადასახდელის ცვლილების ეფექტი	(3,884,483)	-	-	(3,884,483)
იჯარის ვადის მოდიფიკაციის ეფექტი	9,029,562	-	-	9,029,562
საპროცენტო ხარჯი	3,220,985	-	4,879,176	8,100,161
დღგ მიმდინარე დარიცხვაზე	502,349	-	620,051	1,122,400
გადახდა დღგ-ჩათვლით	(1,669,633)	-	(1,333,905)	(3,003,538)
საკურსო სხვაობა	943,715	-	1,647,209	2,590,924
31 დეკემბერი 2024	24,043,296	-	40,105,445	64,148,741

8. მარაგები

	2024	2023
საკვები და სასმელი	529,043	409,411
სტუმრებისთვის განკუთვნილი მარაგები	318,830	40,181
სხვა	24,493	39,844
სულ	872,366	489,436

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	823,951	397,917
სხვა გადახდილი ავანსები	66,289	339,586
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	890,240	737,503

სავაჭრო მოთხოვნების არსებითი ნაწილი წარმოადგენს ვადაგადაუცილებელ მოთხოვნებს. კომპანია არ აღიარებს გაუფასურების ანარიცხს სავაჭრო მოთხოვნებზე, რადგან კომპანიას არ გააჩნია აღნიშნული ფინანსური აქტივების საკრედიტო გაუფასურების გამოცდილება.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2024	2023
ფული საბანკო ანგარიშზე ადგილობრივ ვალუტაში	122,436	122,924
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	8,253	100,339
ფული სალაროში	27,631	43,722
სულ	158,320	266,985

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

11. სესხები

	2024	2023
ფინანსური ინსტიტუტები	12,807,070	13,292,263
დაკავშირებული მხარეები	-	15,464
სულ გრძელვადიანი	12,807,070	13,307,727
ფინანსური ინსტიტუტები	1,117,123	931,581
დაკავშირებული მხარეები	-	400,694
სულ მოკლევადიანი	1,117,123	1,332,275
სულ	13,924,193	14,640,002

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების ხელშეკრულებები შეიცავს შეზღუდვებს. შეზღუდვების დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელს წარმოეჩმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს სესხების სრული ან ნაწილობრივ დაფარვა ვადაზე ადრე. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს მაქრო ქონსტრაქშენი და სხვა დაკავშირებული მხარეები - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები წარმოადგენს მიღებული სესხის გარანტორს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სესხების საწყისი და საბოლოო ნაშთის შეჯერებას.

	2024	2023
1 იანვარი	14,640,002	10,578,650
სესხის აღება	1,420,000	29,033,142
საპროცენტო ხარჯი	1,724,464	1,310,197
გადახდილი პროცენტი	(1,738,632)	(1,393,200)
გადახდილი ძირი	(2,715,872)	(25,134,509)
საკურსო სხვაობა	594,231	245,722
31 დეკემბერი	13,924,193	14,640,002

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	4,751,224	6,185,648
გადასახდელი ხელფასები	776,544	585,963
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,527,768	6,771,611
საგადასახადო ვალდებულებები	266,992	290,686
მიღებული ავანსები	366,886	277,167
სულ არაფინანსური ვალდებულებები	633,878	567,853
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,161,646	7,339,464

13. ამონაგები

	2024	2023
ამონაგები ოთახების გაქირავებიდან	14,869,849	6,323,149
დამატებით ამონაგები საკვების რეალიზაციიდან	7,940,404	4,121,503
დამატებით ამონაგები სასმლის რეალიზაციიდან	1,628,250	845,684
სხვა	1,571,871	310,494
სულ	26,010,374	11,600,830

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებული ამონაგებს, რომელიც მოიცავს შესადარის პერიოდში აღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას.

	2024	2023
1 იანვარი	277,167	164,393
აღიარებული ამონაგები გადასახადის გარეშე	(234,887)	(139,316)
აღიარებულ ამონაგებთან დაკავშირებული გადასახადი	(42,280)	(25,077)
მიღებული ავანსი გადასახადის ჩათვლით	366,886	277,167
31 დეკემბერი	366,886	277,167

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

14. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
კომუნალური ხარჯი	(981,628)	(413,176)
დაჯავშნის საკომისიო	(675,171)	(114,590)
ტრანსპორტირების ხარჯი	(511,665)	(277,158)
დასუფთავების ხარჯი	(359,058)	(170,129)
საბანკო ხარჯი	(285,838)	(153,084)
დაცვის ხარჯი	(283,525)	(153,640)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(238,958)	(113,044)
სარეკლამო ხარჯი	(211,712)	(74,083)
ქონების და სხვა საგადასახადო ხარჯი	(210,736)	(64,968)
დაზღვევის ხარჯი	(94,696)	(30,691)
საკომისიო ხარჯი	(53,108)	(36,046)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	(48,737)	(22,143)
კომუნიკაციის ხარჯი	(45,653)	(32,969)
სხვა	(543,086)	(222,933)
სულ	(4,543,571)	(1,878,654)

15. წმინდა საპროცენტო ხარჯი

	2024	2023
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	(8,100,161)	(3,360,517)
მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯი	(1,626,464)	(1,013,197)
სავაჭრო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	(200,000)	-
ანარიცხის ამორტიზაცია	(12,000)	-
საპროცენტო შემოსავალი	-	15,554
სულ	(9,938,625)	(4,358,160)

16. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

თავდებობა - კომპანია წარმოადგენს დაკავშირებული მხარის (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიის) მიერ მიღებული სესხის თავდებს. კომპანია ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებას საწყისად აღიარებს რეალური ღირებულებით. ხელმძღვანელობის შეფასებით გაცემული ფინანსური გარანტიების რეალური ღირებულება საწყისი აღიარებისას არაარსებითია და არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი არ დაფიქსირებულა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ დაკავშირებული მხარის მიერ ფინანსური ინსტიტუტის მიერ სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა დაბალია და შეფასებული საკრედიტო ზარალის თანხა არ აჭარბებს საწყისი აღიარებისას შეფასებულ რეალური ღირებულების არაამორტიზებულ მოცულობას. შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ანარიცხი არ არის აღიარებული. ხელმძღვანელობის შეფასებით თუ კომპანიას მოუწევს დაკავშირებული მხარის სასესხო ვალდებულებების გადახდა აღნიშნული ოპერაციიდან წარმოქმნილი მოთხოვნა დაკავშირებული მხარის მიმართ სრულად ურთიერთგადაიფარება ამავე მხარის მიმართ არსებულ საიჯარო ვალდებულებებზე და ოპერაციას არ ექნება გავლენა საქმიანობიდან მიღებულ წმინდა შედეგზე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 19.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს მაქრო ქონსტრაქშენი და სხვა დაკავშირებული მხარეები - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სესხის გარანტორს.

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

16. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ოპერაციებს და ნაშთებს დაკავშირებულ მხარეებთან.

	მფლობელი	უმაღლესი ხელმძღვანელობა	საერთო მფლობელი	სულ
ნაშთები 2024				
საიჯარო ვალდებულებები	-	-	64,148,741	64,148,741
გადასახდელი ხელფასები	-	109,000	-	109,000
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	2,270,283	2,270,283
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	542,884	542,884
ოპერაციები 2024				
შემოსავალი	-	-	839,287	839,287
საპროცენტო ხარჯი:				
იჯარის საიჯარო ვალდებულებებზე	-	-	(3,220,985)	(3,220,985)
მიღებული სესხებზე	(217)	-	(134,488)	(134,705)
სავაჭრო ვალდებულებებზე	-	-	(200,000)	(200,000)
შრომის ანაზღაურება	-	(1,332,000)	-	(1,332,000)
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	-	3,810	3,810
ნაშთები 2023				
საიჯარო ვალდებულებები	-	-	35,560,209	35,560,209
სესხები	45,023	-	371,135	416,158
გადასახდელი ხელფასები	-	149,000	-	149,000
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	3,753,184	3,753,184
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	116,357	116,357
ოპერაციები 2023				
შემოსავალი	-	-	403,709	403,709
საპროცენტო ხარჯი:				
საიჯარო ვალდებულებებზე	-	-	(6,692,297)	(6,692,297)
მიღებული სესხებზე	(30,694)	-	(1,135)	(31,829)
საპროცენტო შემოსავალი	-	-	15,553	15,553
შრომის ანაზღაურება	-	(940,000)	-	(940,000)
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	-	-	3,688,360	3,688,360

17. ანარიცხები, პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება - კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს სახელშეკრულებო ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია სასტუმროებთან:

- სასტუმრო Mercure - ოპერატორს შეუძლია სასტუმროს ოპერირება და ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 წლის განმავლობაში. კომპანიას არ შეუძლია მნიშვნელოვანი ჯარიმის გარეშე შეწყვიტოს მმართველობითი მომსახურების ხელშეკრულება. ოპერატორი მიიღებს მმართველობითი მომსახურების საფასურს, რომელიც გამოითვლება ხელშეკრულების მიხედვით. მმართველობის ხელშეკრულების არაგაუქმებადი პერიოდი სრულდება 2030 წელს. ხელშეკრულება ითვალისწინებს კომპანიის მხრიდან 10 წლიანი გაგრძელების უფლებას.
- სასტუმრო SWISSHOTEL - ოპერატორს შეუძლია სასტუმროს ოპერირება და ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 წლის განმავლობაში. კომპანიას არ შეუძლია მნიშვნელოვანი ჯარიმის გარეშე შეწყვიტოს მმართველობითი მომსახურების ხელშეკრულება. ოპერატორი მიიღებს მმართველობითი მომსახურების საფასურს, რომელიც გამოითვლება ხელშეკრულების მიხედვით. მმართველობის ხელშეკრულების არაგაუქმებადი პერიოდი სრულდება 2039 წელს. ხელშეკრულება ითვალისწინებს კომპანიის მხრიდან 10 წლიანი გაგრძელების უფლებას.

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

17. პირობითი და სახელშეკრულებო ვალდებულებები (გაგრძელება)

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოს ინტერპრეტაციებისგან. კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოს შეუძლია მიმოიხილოს კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

სხვა ვალდებულებები - კომპანია ვალდებულია სახელმწიფო საპენსიო სქემაში ჩართული თანამშრომლის სასარგებლოდ საპენსიო სააგენტოში გადარიცხოს სახელფასო ანაზღაურების 2%.

ანარიცხები - კომპანია ჩართული იყო სამართლებრივ დავაში. 2023 წელს დასრულდა დავა მომჩივანის სასარგებლოდ. კომპანიას დაეკისრა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯების, სასამართლო ხარჯების და მორალური ზიანის ანაზღაურება ერთჯერადად და ყოველთვიური ხელფასის ანაზღაურება მომჩივანის სიცოცხლის ბოლომდე. ყოველთვიური ხელფასის ანაზღაურებიდან წარმოქმნილი ანარიცხის შეფასებისთვის კომპანიამ გამოიყენა იმ პოპულაციის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რომელსაც მიეკუთვნება ანაზღაურების მიმღები. ფულის დროითი ღირებულების გამო ანარიცხები აღიარებულია დისკონტირებული ღირებულებით. ამ დაშვებებსა და შეფასებებში მნიშვნელოვანმა და მოულოდნელმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებული შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაში ჩაწერილი შედეგებისგან.

ცხრილში მოცემულია ანარიცხის მოძრაობა.

	2024	2023
1 იანვარი	310,000	290,000
შეფასების ცვლილება	-	136,000
საპროცენტო ხარჯი	12,000	-
გადახა	(201,000)	(116,000)
31 დეკემბერი	121,000	310,000

2024 წელს სადაზღვევო კომპანიამ დავის გამომწვევი შემთხვევა სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ანაზღაურებად შემთხვევას მიაკუთვნა და კომპანიას აუნაზღაურა 137,611 ლარი.

თავდებობა - კომპანია წარმოადგენს დაკავშირებული მხარის (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიის) მიერ მიღებული სესხის თავდებს. იხილეთ შენიშვნა 16.

18. შეწყვეტილი ოპერაციები და გამსვლელი ჯგუფი

2023 წლის ოქტომბერში კომპანიამ გამოაცხადა მისი დირექტორების გადაწყვეტილება, გაეყიდათ სასტუმრო „იბის სტაილს თბილისი ცენტრი“ (სასტუმრო IBIS), ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული (CGU). 2023 წლის ნოემბერში კომპანიის აქციონერმა დაამტკიცა გაყიდვის გეგმა. სასტუმრო IBIS-ის გაყიდვა დასრულდა 2024 წლის მარტში. 2023 წლის 31 დეკემბერს სასტუმრო IBIS კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული გამსვლელი ჯგუფი და როგორც შეწყვეტილი ოპერაცია.

ცხრილი გვიჩვენებს დაბეგვრამდე მოგებას შეწყვეტილი ოპერაციების გასვლიდან.

	2024
გადაცემის ღირებულება	2,721,753
გადაცემული წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულება	
ძირითადი საშუალებები	(396,723)
მარაგები	(41,478)
მოგება შეწყვეტილი ოპერაციების გადაცემიდან	2,283,552
მოგება აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების აღიარების შეწყვეტიდან	15,237,107
მოგება შეწყვეტილი ოპერაციების გასვლიდან	17,520,659

შპს მაქრო ტურიზმ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

18. შეწყვეტილი ოპერაციები და გამსვლელი ჯგუფი (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს შეწყვეტილი ოპერაციების შედეგს.

	2024	2023
ამონაგები	738,047	6,874,884
მარაგების ხარჯი	(82,415)	(815,872)
პერსონალის ხარჯები	(168,540)	(1,569,945)
ცვეთა და ამორტიზაცია	-	(715,140)
სასტუმროს მმართველობითი მომსახურების ხარჯი	(56,145)	(629,762)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(137,710)	(1,282,758)
საოპერაციო ზარალი	293,237	1,861,407
წმინდა საპროცენტო ხარჯი	(404,656)	(3,331,780)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან	(858,188)	69,974
მოგება შეწყვეტილი ოპერაციების გასვლიდან	17,520,659	-
წმინდა მოგება/(ზარალი) შეწყვეტილი ოპერაციებიდან	16,551,052	(1,400,399)

IBIS სასტუმროს აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი კლასები, რომლებიც კლასიფიცირებულია გასაყიდად 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, არის შემდეგი.

	2023
ძირითადი საშუალებები	396,723
აქტივების გამოყენების უფლება	5,523,890
მარაგები	64,840
სულ გასაყიდად გამიზნული გამსვლელი ჯგუფის აქტივები	5,985,453
საიჯარო ვალდებულებები	(19,659,408)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(68,165)
სულ გასაყიდად გამიზნული გამსვლელი ჯგუფის ვალდებულებები	(19,727,573)
გასაყიდად გამიზნული გამსვლელი ჯგუფის ნეტო ვალდებულებები	(13,742,120)

ცხრილი გვიჩვენებს ფულად ნაკადებს შეწყვეტილი ოპერაციებიდან.

	2024	2023
საოპერაციო	293,237	1,861,407
გადახდილი პროცენტები	(161,256)	(2,533,886)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	131,981	(672,479)
საინვესტიციო	2,721,753	(37,000)
ფულადი სახსრების წმინდა შემოსვლა/(გასვლა)	2,853,734	(709,479)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ მომხდარა გამსვლელი ჯგუფის გაუფასურება, რადგან გამსვლელი ჯგუფის საბალანსო ღირებულება არ ჩამორჩებოდა მის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ:

- თავდებობის ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიამ დაკავშირებული მხარის სანაცვლოდ ფინანსურ ინსტიტუტს გადაუხადა სესხის თანხა 717,126 ლარი. ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული ოპერაციიდან წარმოქმნილი მოთხოვნა დაკავშირებული მხარის მიმართ სრულად ურთიერთგადაიფარება ამავე მხარის მიმართ არსებულ საიჯარო ვალდებულებებზე და ოპერაციას არ ექნება გავლენა საქმიანობიდან მიღებულ წმინდა შედეგზე.
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ მიიღო სესხები დაკავშირებული მხარისგან, ჯამური ოდენობით 50,221 ლარი.

შპს მაქრო ტურიზმ

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები

შპს „მაქრო ტურიზმ“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია საქმიანობას ეწევა სასტუმროების შემდეგი დასახელებით: Mercure Tbilisi Old Town და Swissotel Tbilisi. კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სასტუმროს და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების მიწოდება.

„მაქრო ტურიზმის“ და „აკორის სასტუმროების ჯგუფის“ ერთობლივი პროექტი, 4-ვარსკვლავიანი ბუტიკი-სასტუმრო „მერკური თბილისი ძველი ქალაქი“, რომელიც გაიხსნა 2015 წლის ივნისში, მდებარეობს ქალაქის ცენტრში, ადმინისტრაციული და ბიზნეს-ცენტრებიდან, თეატრებიდან, მუზეუმებიდან, გასართობი და სავაჭრო ცენტრებიდან 5 წუთის სავალზე. სასტუმრო „მერკური თბილისი“ არის „აკორ ჰოტელის“ პირველი ობიექტი თბილისში. „Mercure Tbilisi Old Town“ განთავსებულია ქ. თბილისში, კრწანისის რაიონი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N9. „მერკური თბილისი ძველი ქალაქი“ მოიცავს 102 ნომერს, აქედან 22 პრივილეგირებული ლუქს ნომერი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუმრებისთვის განკუთვნილი 2 ნომერი, 35 Superior, 29 ორადგილიან, 7 double, 6 ერთადგილიან ნომერს და 1 ბიზნეს-ლუქს ნომერს. ყველა ნომერში იგრძნობა სახლის ატმოსფერო, დიდი საწოლითა და კომფორტული ლოგინით, ჩაისა და ყავის მოსამზადებელი საშუალებებით და „მერკურის“ ბრენდისთვის დამახასიათებელი ექსკლუზიური ელემენტებით. სასტუმროში სტუმრებისთვის ფუნქციონირებს ფიტნეს-ცენტრი და საუნა მათი მუშაობისა და დასვენებისთვის და ასევე რესტორანი „ძველი ქალაქი“, რომელიც სთავაზობს საერთაშორისო და ქართული სამზარეულოს კერძებს. ლობი-ბარი გთავაზობთ ქართული ღვინოების დახვეწილ ასორტიმენტს „მერკურის“ კოლექციიდან.

კომპანიამ 2024 წლის თებერვალში გახსნა 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო Swissotel Tbilisi. Swissotel Tbilisi მდებარეობს თბილისის ძველი ქალაქის შუაგულში, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუმრებს შეუძლიათ გაისეირნონ ქალაქის ცენტრში და მის გარშემო. საქართველოს პარლამენტი და თბილისის ეროვნული გალერეა ფეხით სავალ მანძილზეა. სასტუმროს აქვს სამი რესტორანი და ბარი, სპა და გამაჯანსაღებელი ცენტრი და დახურული საცურაო აუზი.

კომპანიას დადგენილი აქვს ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, რომლის საფუძველზეც აანალიზებს კომპანიის საქმიანობის შედეგებს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს.

	Mercure Tbilisi Old Town		Swissotel Tbilisi	
	2024	2023	2024	2023
საშუალო წლიური დატვირთულობა (Room Occupancy) *	74%	74%	48%	-
ხელმისაწვდომი ოთახები (Rooms available)	39,528	39,420	43,550	-
გაყიდული ოთახები (Rooms sold)	29,057	29,170	20,961	-
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR) **	228	217	393	-
ამონაგები ერთ ნომერზე (Revpar) ***	168	160	189	-
ამონაგები ოთახების გაქირავებიდან	6,624,786	6,323,149	8,245,063	-
ამონაგები საკვების და სასმლის რეალიზაციიდან	5,386,792	4,967,187	4,181,863	-

* სასტუმროს გაყიდულ ოთახების რაოდენობა / წლიურად ხელმისაწვდომი ოთახების რაოდენობაზე

** ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR): ამონაგები ოთახების გაქირავებიდან / გაყიდული ოთახების რაოდენობაზე;

*** ამონაგები ერთ ნომერზე (Revpar) : შემოსავალი ოთახების გაქირავებიდან / წლიური ოთახების რაოდენობაზე.

კომპანიის სტრატეგია და მიზნები

კომპანიის დამფუძნებლებისა და ხელმძღვანელობის სურვილია, განავითარონ კომპანია. კომპანია მუდმივად ადევნებს თვალს ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს და შესაბამისად ცდილობს მიუსადაგოს თავისი სტანდარტები თანამედროვე მოთხოვნებს. ხელმძღვანელობა სასტუმროების ბაზარზე მაქსიმალურად ახდენს საერთაშორისო ბრენდის პოპულარიზაციას, აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ კომპანიებთან. კომპანიის სასტუმროები გაწევრიანებულია მსხვილ საერთაშორისო ჯავშნის პორტალებზე. კომპანიას მჭიდრო ურთიერთობა აქვს სხვადასხვა სახელმწიფო, თუ კერძო ორგანიზაციებთან. სთავაზობს მათ მათთან ჩამოსული სტუმრებისთვის სასტუმრო, საკონფერენციო თუ სარესტორნო მომსახურების გაწევას. კომპანიის სასტუმროები ხშირად მასპინძლობენ სხვადასხვა საერთაშორისო, სპორტულ და პოლიტიკურ ღონისძიებებს.

შპს მაქრო ტურიზმ

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

კომპანიის სასტუმროებში არსებული რესტორნები მომსახურებას უწევენ, როგორც სასტუმროსა და საკონფერენციო დარბაზების სტუმრებს, ასევე ნებისმიერ მსურველს. გაჯერებულ სარესტორნო მომსახურების ბაზარზე კომპანია თავის დამკვიდრებას ცდილობს პროფესიონალი მზარეულების მიერ ეკოლოგიურად სუფთა და უმაღლესი ხარისხის პროდუქციისგან, დამზადებული კერძების საშუალებით.

კომპანიის მიზანია კომფორტული ატმოსფერო შეუქმნას, როგორც სასტუმროს სტუმრებს, ასევე რესტორნების მომხმარებლებს. შექმნას ატმოსფერო, რომელიც პასუხობს მათ მოთხოვნებს. ამ სტრატეგიით მუშაობა კი, ახალი იდეების რეალიზაციისა და შემდგომი განვითარების საწინდარი ხდება.

აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანია, ისევე როგორც სხვა კომერციული საქმიანობის მქონე იურიდიული პირები, ორიენტირებულია მოგებაზე, ბიზნესის განვითარებაზე და საქმიანობის მიმართულებების დივერსიფიცირებაზე. კომპანიის მიზანია კონკურენტულ ბაზარზე ლიდერი პოზიციების მოპოვება.

2024 წელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კომპანიის საოპერაციო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები სტაბილურად შენარჩუნდა.

კომპანიის მმართველობა და სტრუქტურა

შპს „მაქრო ტურიზმ“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის 100% წილის მესაკუთრეს წარმოადგენს ემინ უჩარ. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, ვახტანგ გორგასლის ქ., N9.

კომპანიის ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს - ორპან უჩარ, და გენერალურ მენეჯერს - ერდოღან შაჰინ. კომპანიის მმართველობითი სტრუქტურა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

- | | |
|---|-----------------------------|
| ა) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება; | ვ) სამზარეულოს განყოფილება; |
| ბ) საოპერაციო განყოფილება; | ზ) ტექნიკური დეპარტამენტი; |
| გ) ფინანსური განყოფილება; | თ) დაცვის განყოფილება; |
| დ) გაყიდვების განყოფილება; | ი) IT განყოფილება; |
| ე) კვებისა და სასმელების განყოფილება; | კ) იურიდიული დეპარტამენტი. |

კომპანიაში დასაქმებულია საშუალოდ 312 თანამშრომელი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. კომპანიის ხელმძღვანელობისთვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. გარდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა კომპანია ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნას მომუშავე პერსონალს. კერძოდ, კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ბრენდის შესაბამისი სტანდარტების დანერგვისათვის აუცილებელი ტრენინგების ჩატარებაზე, ასევე ხდება თანამშრომლების გაგზავნა სხვადასხვა ქვეყნებში ცოდნის და გამოცდილების მისაღებად.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა, კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური გუნდისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური განყოფილებისგან, მიმოიხილავს თავის დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ფინანსური რისკების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

ყოველი თვის დასაწყისში ხორციელდება წინა თვის შედეგების (ADR, REVPAR, OCCUPANCY,) შემოწმება და შედარება დაგეგმილ ბიუჯეტთან. ასევე ყოველთვიურად ტარდება საკვები პროდუქტების, სასმელების და სხვა საქონლის ინვენტარიზაცია. კომპანიაში მიმდინარეობს პროცესების და პროცედურების შემუშავება. პროცესებთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა, შეფასება და კონტროლის სისტემის დანერგვა.

სასტუმროს ძირითადი რისკებზე შეიძლება განვიხილოთ:

სტუმრებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მობინადრეთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მობინადრეთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, სასტუმროში შეღწევის შეზღუდვა, ვიდეო კონტროლი, ასევე მობინადრეთა კვებასა და სასმელ წყალზე უსაფრთხოება, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.

შპს მაქრო ტურიზმ

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

რისკის მართვა:

ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად სასტუმროს გააჩნია 24 საათიანი ცოცხალი დაცვა. დაცვის ყველა თანამშრომელი სისტემატურად გადის ტრენინგებს, როგორც პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებში, ასევე საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესების დასაცავად. სასტუმრო აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, უახლესი ხანმარსაწინააღმდეგო სისტემებით, ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან“, რათა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს დამატებითი საპოლიციო ძალების მოზილვა. სასტუმროს უმაღლესი ხარისხის საკვებისა და სასმელის მისაწოდებლად კომპანია თანამშრომლობს მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატების მქონე დისტრიბუტორებთან. ასევე კომპანია თითქმის ყოველდღიურად ახორციელებს სხვადასხვა დასახელების ეკოლოგიურად სუფთა უმაღლესი ხარისხის პროდუქციის შეძენა-ტრანსპორტირებას საქართველოს რეგიონიდან. პროდუქტების ხარისხის ფასდება მოწოდების დროს და მხოლოდ შემოწმების შემდეგ ხდება მისი მიღება. ასევე პერმანენტულად მოწმდება პროდუქციის ვადები.

რისკის იდენტიფიცირება:

ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი, რაც სასტუმროსა და სარესტორნო ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის კომპანიის სახელის (ბრენდი) დაცვა და უფრო მყარად დამკვიდრება, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე. რაც გულისხმობს პროცესის, იდეის ან იმიჯის ბაზარზე ისე წარმოდგენას, როდესაც მომსახურება და პროდუქტი უფრო და უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება ცნობილი და გამორჩეულად ხდება იდენტიფიცირება ამ კონკრეტული კომპანიისა.

რისკის მართვა:

კომპანიას ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ მისი რეპუტაციისა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის. ასე მაგალითად, კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს როგორც რესტორნებისა და სამზარეულოს პერსონალის გადამზადებას, ასევე სასტუმროს მომსახურე პერსონალის უნარ-ჩვევების გაღრმავებასა და მსოფლიოში წამყვან სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული სტანდარტებთან გათანაბრებას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 16 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური მენეჯერი

ერდოღან შაჰინ

ფინანსური მენეჯერი

ალლა ხავერიჩ

შპს მაქრო ტურიზმ

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

რისკის მართვა:

ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად სასტუმროს გააჩნია 24 საათიანი ცოცხალი დაცვა. დაცვის ყველა თანამშრომელი სისტემატურად გადის ტრენინგებს, როგორც პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებში ასევე საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესების დასაცავად. სასტუმრო აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, უახლესი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით, ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან“, რათა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს დამატებითი საპოლიციო ძალების მობილიზაცია. სტუმრებისთვის უმაღლესი ხარისხის საკვებისა და სასმელის მისაწოდებლად კომპანია თანამშრომლობს მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატების მქონე დისტრიბუტორებთან. ასევე კომპანია თითქმის ყოველდღიურად ახორციელებს სხვადასხვა დასახელების ეკოლოგიურად სუფთა უმაღლესი ხარისხის პროდუქციის შეძენა-ტრანსპორტირებას საქართველოს რეგიონიდან. პროდუქტების ხარისხის ფასდება მოწოდების დროს და მხოლოდ შემოწმების შემდეგ ხდება მისი მიღება. ასევე პერმანენტულად მოწმდება პროდუქციის ვადები.

რისკის იდენტიფიცირება:

ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი, რაც სასტუმროსა და სარესტორნო ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის კომპანიის სახელის (ბრენდი) დაცვა და უფრო მაყარად დამკვიდრება, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე. რაც გულისხმობს პროცესის, იდეის ან იმიჯის ბაზარზე ისე წარმოდგენას, როდესაც მომსახურება და პროდუქტი უფრო და უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება ცნობილი და გამორჩეულად ხდება იდენტიფიცირება ამ კონკრეტული კომპანიისა.

რისკის მართვა:

კომპანიას ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ მისი რეპუტაციისა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის. ასე მაგალითად, კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს როგორც რესტორნებისა და სამზარეულოს პერსონალის გადამზადებას, ასევე სასტუმროს მომსახურე პერსონალის უნარ-ჩვევების გადრმავეებასა და მსოფლიოში წამყვან სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული სტანდარტებთან გათანაბრებას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 16 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური მენეჯერი

ერდოღან შაჰინ

ფინანსური მენეჯერი

ალლა ხაერიჩ